

**Progress report of the critical care medicine institute's clinic in 2011****Z. Kheladze, Zv. Kheladze****Critical Care Medicine Institute. Tbilisi, Georgia.**

During the 2011 year in the Critical Care Medicine Institute's clinical unit 980 critical patients were hospitalized. 656 survived, 324 patients died. 217 patients were 50 years old, 347 patients - 60 years old and 416 patients were  $\geq 80$  years old. 551 patients were brought in clinic by emergency, 371 patients were brought by the team of catastrophe medicine and 58 patients came by there own. Mortality was 33%, Total patient-day constituted – 5167, on average 5.3 bed-days per patient. The cost of one patient-day is equal to 600 GEL, it includes standard treatment, single-use medical items, patient care things, necessary laboratory and diagnostic evaluation, additionally financed surgery, MRI, CT, blood preparations and more than 100GEL medications.

During 2011 year registered critical conditions were: acute stroke-397 patients, from these: ischemic stroke-205 patient, hemorrhagic-192 patient, severe head and brain trauma-20 patient, poly-trauma-36, acute respiratory failure-190 patient, cardiogenic shock and heart failure-47 patient, poly-organ failure-5 patient, anoxic brain injury (with postreanimation diseases)-16 patient, strangulation asphyxiation-3 patient, endotoxic shock-38 patient, hypovolemic-hemorrhagic shock-73 patient, acute renal failure-13 patient, acute and sub acute liver failure-15, severe sepsis-4, anaphylactic shock-1, diabetic coma-19, encephalopathy-3, status of epilepsy-9, intoxication with phosphor-organic substances and medication-16 patients, encephalitis and meningitis-8, ascending polyradiculoneuropathy-4, general body hypothermia-1, lumbar hernia-33, acute abdomen-10, inguinal hernia-11, cholecystitis-6, brain tumor-3 patient.

Presented report indicates that compared with last year number of the critical patients increased. For example: in 2007 year number of patients treated at critical care medicine clinic was-355, in 2008-421, in 2009-481 and in 2010-785. Also mortality decreased and it is 33%. In table №1 and №2 are presented main report of clinical work and types of critical conditions.

Table №1 Main report of clinical work

Number of patients	980
age 50 year	217
50-60 year	347
≥80 year	416
brought by emergency	551
brought by catastrophe team	371
patients entered by their own	58
discharged	656
died	324
mortality rate	33%
spent patient-day	5167
average bad-day	5,3
cost of patient bad-day	600GEL=360USD

Table №2 Types of critical conditions

Types of Critical conditions	Quantity	Lethality
Ischemic stroke	205	28%
Hemorrhagic stroke	192	51%
Anoxic brain injury ( postreanimation disease)	16	12%
severe head and brain trauma	20	1%
Poly-trauma	36	2%
Acute respiratory failure	190	40%
Cardiogenic shock and heart failure	47	46%
Poly-organ failure	5	15%
Strangulation asphyxiation	3	0.5%
Endotoxic shock	38	3.9%
Hypovolemic-hemorrhagic shock	73	3.0%
Acute renal failure	13	1.6%
Acute liver failure	15	5%
Severe sepsis	4	10%
Anaphylactic shock	1	0%
Diabetic coma	19	4.6%
Encephalopathy	3	0%
Status of epilepsy	9	2.8%
Intoxication with phosphor-organic substances and medication	16	1.4%
Encephalitis and meningitis	8	0%
Ascending polyradiculoneuropathy	4	3.3%
General body hypothermia	1	0%
Lumbar hernia	33	0.3%
Acute abdomen	10	4.2%
Inguinal hernia	11	0%
Acute calculous cholecystitis	6	0%
Brain tumor	3	0%

Last year, in the Institute the scientific work in the following direction have continued:

- Immunology of Critical Condition
- Molecular bases of death
- Cosmos problems of Critical Care Medicine
- Critical Care Medicine during limited resources
- Progenitor precursors committing inside the human body
- Nanotechnology in Critical Care Medicine
- Sepsis

In this regard, in last year more than 25 scientific works have been published on an international level. Also one patent about progenitor precursors committing have been adopted. On 16-20th of November, 2011, third national symposium “New steps in Critical Care Medicine Institute” was held in the Institute, in which representatives of worlds 10 countries took part. Materials of the symposium were published in the journal “Critical Care and Catastrophe Medicine.” Also in 2011 studying process of students and residents continued according to plan. In the same year of 2011 Georgian association of Critical Care and Catastrophe Medicine became national member of Critical Care Medicines world’s federation and European society of Intensive Care.

**კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტის 2011 წლის კლინიკური მუშაობის შედეგები.  
ზ.ხელაძე, ზვ.ხელაძე**

**კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტი. თბილისი, საქართველო**

კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტის კლინიკაში 2011 წელს მკურნალობდა კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი 980 ავადმყოფი. გადარჩა 656, მოკვდა 324 ავადმყოფი. 50 წლამდე ასაკის იყო - 217, 60 წლის - 347, ხოლო 80 წლამდე და მეტი - 416 პაციენტი. 551 ავადმყოფი კლინიკაში მოყვანილ იქნა სასწრაფო დახმარების ბრიგადის მიერ, კატასტროფის მედიცინის ბრიგადების მიერ მოყვანილ იქნა 371 ავადმყოფი, თვითღინებით კი კლინიკას მომართა 58 პაციენტმა. ლეტალობამ შეადგინა - 33%, გატარებული საწოლდღეების რაოდენობა - 5167, საწოლზე პაციენტთა საშუალო დაყოვნებამ შეადგინა - 5.3 საწოლდღე, საწოლდღეების ღირებულება შეადგენდა 600 ლარს, ეს მოიცავდა სტანდარტით გათვალისწინებულ მკურნალობას, ერთჯერადი მოხმარების სამედიცინო საგნებს, ავადმყოფის მოვლის საშუალებებს, აუცილებელ ლაბორატორიულ და დიაგნოსტიკურ კვლევებს, დამატებით ფინანსდებოდა

ოპერაციული ჩარევა, ბირთვულ-მაგნიტური რეზონანსი, კომპიუტერული ტომოგრაფია, სისხლის პრეპარატები და დღეში 100 ლარზე მეტი ღირებულების მედიკამენტები.

2011 წელს გატარებულია შემდეგი სახის კრიტიკული მდგომარეობები: თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მწვავე მოშლა - 397 ავადმყოფი, აქედან იშემიური ინსულტით - 205 ავადმყოფი, ჰემორაგიული ინსულტით - 192 ავადმყოფი, ქალატვინის მძიმე ტრავმა-20 ავადმყოფი, პოლიტრავმა - 36, სუნთქვის მწვავე უკმარისობა - 190 ავადმყოფი, კარდიოგენური შოკი და გულის უკმარისობა - 47 ავადმყოფი, პოლიორგანული უკმარისობა - 5 ავადმყოფი, თავის ტვინის ანოქსიური დაზიანებით (პოსტრეანიშამაციული დაავადებით) - 16 ავადმყოფი, სტრანგულაციული ასფიქსია - 3 ავადმყოფი, ენდოტოქსიური შოკი - 38 ავადმყოფი, ჰიპოვოლემიურ-ჰემორაგიული შოკი - 73 ავადმყოფი, თირკმლების მწვავე უკმარისობა - 13 ავადმყოფი, ღვიძლს მწვავე და ქვემწვავე უკმარისობა - 15, მძიმე სეფსისი - 4, ანაფილაქსიური შოკი - 1, დიაბეტური კომა - 19, ენცეფალოპათია - 3, ეპილეფსიური სტატუსი - 9, ფოსფორორგანული საშუალებებით და მედიკამენტებით ინტოქსიკაციით - 16 ავადმყოფი, ენცეფალიტით და მენინგიტით - 8, აღმავალი პოლირადიკულონეიროფათიით - 4, სხეულის ზოგადი გადაციება - 1, წელის მალეების თიაქარი - 33, მწვავე მუცლით - 10, საზარდულის თიაქრით - 11, ქოლევცისტიტით - 6, თავის ტვინის სიმსივნე - 3 ავადმყოფი.

წარმოდგენილი ანგარიში უჩვენებს, რომ კლინიკაში წინა წლებთან შედარებით მოიმატა კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფ ავადმყოფთა რაოდენობამ, სახელდობრ: 2007 წელს კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტის კლინიკაში იმკურნალა 355 ავადმყოფმა, 2008 წელს - 421, 2009 წელს - 481, ხოლო 2010 წელს - 785 ავადმყოფმა. ასევე მნიშვნელოვნად შემცირდა საერთო ლეტალობა და მან 33% შეადგინა.

ინსტიტუტში გასულ წელს კვლავ გრძელდებოდა სამეცნიერო სამუშაოები შემდეგი მიმართულებით:

- კრიტიკულ მდგომარეობათა იმუნოლოგია
- სიკვდილის მოლეკულური საფუძვლები
- კრიტიკული მედიცინის კოსმოსური პრობლემები
- კრიტიკული მედიცინის შეზღუდული რესურსების დროს
- პროგნოზური პრეკურსორების ორგანიზმშიგნით კომპირება

- ნანოტექნოლოგია კრიტიკულ მედიცინაში
- სეფსისი

ამ თვალსაზრისით ინსტიტუტის მიერ გასულ წელს გამოქვეყნებული იყო 25-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომები საერთაშორისო დონეზე. ასევე მიღებული იქნა ერთი პატენტი პროგნოზური პრეკურსორების კომიტირების შესახებ. 2011 წლის 16-20 ნოემბერს ინსტიტუტში გაიმართა თბილისის მესამე საერთაშორისო სიმპოზიუმი, “New steps in Critical Care Medicine Institute”, რომლის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდნენ მსოფლიოს 10 ქვეყნის წარმომადგენლები. სიმპოზიუმის მასალები გამოქვეყნდა ჟურნალ “Critical Care and Catastrophe Medicine”. ასევე 2011 წელს გეგმის მიხედვით გრძელდებოდა სტუდენტთა და რეზიდენტთა სწავლების პროცესი. იმავე 2011 წელს კატასტროფათა და კრიტიკულ მდგომარეობათა საქართველოს ასოციაცია გახდა კრიტიკული ზრუნვის მედიცინის მსოფლიო ფედერაციის და ინტენსიური ზრუნვის ევროპის საზოგადოების ნაციონალური წევრი.